ვ. როდონაია მ. მირიანაშვილი ლ. ვაშაკიძე ქ. თოფაძე

# ქართული ენა

# 1



## მოსწავლის წიგნი

პირველი ნაწილი

ვ. როდონაია  მ. მირიანაშვილი  ლ. ვაშაკიძე  ქ. თოფაძე

# ქართული ენა

## I კლასი

## მოსწავლის წიგნი

### პირველი ნაწილი

საქართველოს მაცნე

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

ქართული ენა – I კლასი პირველი ნაწილი

მოსწავლის წიგნი

ვ. როდონაია, მ. მირიანაშვილი, ლ. ვაშაკიძე, ქ. თოფაძე

რედაქტორი – ნანა სუხიტაშვილი
მხატვარი – თამარ ჯაყელი
დამკაბადონებელი – მავრა ბანცური

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
მის: ქ. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. №5
ტელ: 568105467; 574 400 857
ელ.ფოსტა: saqmatsne@mail.ru, sakmacne@gmail.com
www.http://saqmatsne.ge

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2018
© ვ. როდონაია, მ. მირიანაშვილი, ლ. ვაშაკიძე, ქ. თოფაძე
გამოცემის წელი და რიგითობა 2003, 2009, 2011, 2018 წელი
ISBN 978-9941-16-561-0

# სარჩევი


ვემზადებით სკოლისათვის ............ 3
ჩვენი საკლასო ოთახი ............ 4
ჩვენი გაკვეთილები ............ 6
ჩვენი სახელმძღვანელო ............ 9
ქართული ანბანი ............ 10
საანბანო ნაწილი ა, ი ............ 12
საანბანო ნაწილი დ, ე ............ 14
საანბანო ნაწილი მ, ს ............ 17
საანბანო ნაწილი რ, ჩ ............ 20
საანბანო ნაწილი ვ, ნ ............ 23
საანბანო ნაწილი ზ, ო ............ 26
საანბანო ნაწილი თ, შ ............ 29
საანბანო ნაწილი კ, ლ ............ 32
საანბანო ნაწილი ბ, უ ............ 35
საანბანო ნაწილი პ, გ ............ 38
საანბანო ნაწილი ც, წ ............ 41
საანბანო ნაწილი ხ, ფ ............ 44
საანბანო ნაწილი ქ, ყ ............ 47
საანბანო ნაწილი ძ, ღ ............ 50
საანბანო ნაწილი ჯ, ტ ............ 53
საანბანო ნაწილი ჟ ............ 56
საანბანო ნაწილი ჭ, ჰ ............ 59
ვაშა, ჩვენ კითხვა ვიცით! – ი. გოგებაშვილი ............ 62
ბავშვის სათვალე – ი. გოგებაშვილი ............ 63

# II ნაწილი


არდადეგები დამთავრდა ....................4
ნინოს ნაამბობი ....................5
სოფელში – შ. ქავთარაძე ....................6
ზამთარი – ი. გოგებაშვილი ....................8
ხეების დავა – ი. გოგებაშვილი ....................10
რა ჰქვია კვირის დღეებს? ....................12
სახალისო ლექსები – ც. ქიტიაშვილი ....................13
მოგზაური ....................14
კატო ავად გახდა – თ. ერისთავი ....................15
სოსოს ქუდი – ი. გოგებაშვილი ....................16
თებერვალო, თებერვალო – გ. ჭიჭინაძე ....................18
ენძელა – ი. გოგებაშვილი ....................20
ყველაზე ლამაზი დედიკო – ი. გოგებაშვილი ....................22
დედის დღე ....................24
სკოლისაკენ ჰერი, ჰერი! – ი. ევდოშვილი ....................26
დილა ჩვენს ეზოში ....................28
წითელი და მწვანე ....................30
აბა, გამოიცანი ....................32
ცრუ – ი. გოგებაშვილი ....................33
თხუპნია – ც. ქიტიაშვილი ....................34
მეგობრობა ....................36
კომბლე – ქართული ხალხური ზღაპარი ....................38
ერთი დევი ყოფილა – მ. ჯგუბურია ....................41
მატა და ვაგუ – ა. სულაკაურის მიხედვით ....................42
გაზაფხული – გ. ქუჩიშვილი ....................44
ბაქია ბატკანი – ა. საჯაია ....................45
ქაკო ....................46
ღრუბელი – გ. ჭიჭინაძე ....................48
ეშმაკუნა იხვი – მ. ბოლქვაძის მიხედვით ....................49
ფაიფურის თოჯინა ....................50

ხატვის გაკვეთილზე ........................................................................................ 51
სიტყვის ძალა..........................................................................................................52
უშიშარი კაპიტანი – მ. ბოლქვაძის მიხედვით ......................54
მატარებელი – ა. მიტჩელის მიხედვით .......................................56
ამწეები – ც. ქიტიაშვილი .................................................................57
ოთხი სურვილი – ი. გოგებაშვილი ..............................................58
წელიწადის დროები ........................................................................62
მზე შინა და მზე გარეთა – მ. წიკლაური ..............................63
იაკობის სტუმარი ..........................................................................64
ლექსიკონი .................................................................................66

# 1 ვემზადებით სკოლისათვის



## 2 ჩვენი საკლასო ოთახი





# 3 ჩვენი გაკვეთილები






1+1=







# 4 ჩვენი სახელმძღვანელო



# ქართული



# ანბანი



5

# ა



არწივი



აკვარიუმი



აქლემი

# ი



იხვი



ია



ირემი



ია



ია



აი ია.



აი ია.



ა ი

# დ



დროშა



დოლი



დათვი

# ე



ეკლესია



ექიმი



ეტლი



დ ე



და დი დე ად იდ ედ

დე-და დი-დე-და

დედა დიდედა

დეიდა ადი დადე



აი დიდედა.





# 28 ხეების დავა

ხეებს დავა ჰქონდათ: არა მე გჯობივარ, არა – მეო.

მუხამ თქვა:

– მე ძლიერი ფესვები მაქვს, ჩემს ღონიერ ტოტებს ქარიშხალი ვერ მოერევა.

ვაშლის ხემ ბაღიდან გასძახა:

– ნუ ტრაბახობ, შენს რკოს ღორები ჭამენ. ჩემი წითელი ვაშლი კი მეფის სუფრასაც ამშვენებს.

ნაძვმა თავისთვის ჩაილაპარაკა:

– არ დაგავიწყდეთ, ზამთარში თქვენ ფოთლები დაგცვივათ. მე კი ისევ მწვანე ვიქნები და დათოვლილ მთა-ბარს დავამშვენებ.



რა არის დავა – საუბარი თუ კამათი?

რა არის ტრაბახი – კვეხნა თუ ჩხუბი?

(დაასახელე სწორი პასუხი)



მოძებნე და წაიკითხე, რომელი ხე რას იკვეხნის. რას ამბობს ნაძვი?



დააკვირდი, როგორ იწერება ასო ო.

ო თემო ეზოს ზომავს.

ნაძვი და ფიჭვი მარადმწვანე ხეებია.

მსხალი, ვაშლი, ატამი, ბალი ხეხილია.

წაიკითხე წინადადებები და დაასრულე ზეპირად:

მუხას ძლიერი ფესვები . . .
რკოს ღორები . . .
ნაძვი მარადმწვანე . . .

დაასახელე, ამ ხეებიდან რომელი რას ისხამს:



მუხა



ვაშლის ხე



ნაძვი



დააკვირდი, როგორ იწერება ასო კ.



# 29 რა ჰქვია კვირის დღეებს?

– დაჩი, რა არის არდადეგები? – ეკითხება ია დაჩის.

– არდადეგებზე მოსწავლეები ისვენებენ.

– დღეს არდადეგებია? – არ ეშვება ია დაჩის.

– არა, კვირაა. შაბათს და კვირას ვისვენებთ.

– რა არის შაბათი და კვირა?

– დღეების სახელებია. კვირის თითოეულ დღეს თავისი სახელი აქვს: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი და კვირა.

– ეს ხომ მეც ვიცი. ასკინკილა-კინკილა, დღეს – შაბათი, ხვალ – კვირა, – თქვა იამ და ოთახიდან ხტუნვა-ხტუნვით გავიდა.



**დაასახელე:**

რა დღეა დღეს?
რა დღე იყო გუშინ?
რა დღე იქნება ხვალ?



დააკვირდი, როგორ იწერება ასო ვ.

ვ მაისი თვეა.

## 30 სახალისო ლექსები

ამბავს გეტყვით სახითხითოს,
ამბავს გეტყვით სასაცილოს,
თურმე ნამცეცას ეძახის
ვეება შვილს დედა სპილო.



* * *

ჭიანჭველას შვილები ჰყავს,
დათვლაც უჭირს საწყალს მათი.
რა არ ჰქვიათ: ლომი, ვეფხვი,
დევკაცი და გოლიათი.



ისაუბრეთ, რატომ არის ეს ლექსები სახალისო. რა შეუსაბამობა აღმოაჩინეთ ლექსებში?

დააკვირდი ამ ცხოველებს. დაასახელე, რაც არ არის სწორი:





დააკვირდი, როგორ იწერება ასო გ.

გ გივიმ სკამი გააკეთა.

31

# მოგზაური

ზურიკო დიდი მოუსვენარი ვინმეა. ხან კოსმონავტია, ხან – გემის კაპიტანი, ხან – მეხანძრე, ხან – მძღოლი.

ერთ დღეს თქვა, მოგზაური ვარო, პატარა ზურგჩანთა აიღო და სახლიდან გავიდა.

– ზურიკო დაიკარგა, ზურიკო! – გაისმა ეზოში.

მთელი სახლი ფეხზე დადგა.

მამა ბიჭს ქუჩაში ეძებდა. დედა პოლიციაში რეკავდა. მეზობლები სანაყინესა და სათამაშოების მაღაზიაში დარბოდნენ.

ზურიკო არსად ჩანდა.

ბოლოს, იქვე ახლოს, პარკში იპოვეს. თავი ზურგჩანთაზე ედო და ტკბილად ეძინა.





მოძებნე და წაიკითხე, სად ეძებდნენ ზურიკოს მამა, დედა, მეზობლები.



ისაუბრეთ, როგორი ბიჭია ზურიკო, როგორ მოიქცა იგი.



დააკვირდი, როგორ იწერება ასო ძ.

ძ გოგო ძმას ეძახის.

## 32 კატო ავად გახდა

პატარა კატო სკოლაში ვერ წავიდა. კატომ ჯერ წერა არ იცოდა. დახატა სამი სურათი, ჩადო კონვერტში და თავის ძმას სთხოვა:

– მიიტანე ეს ნახატები სკოლაში. ჩემი მასწავლებელი და კლასელები გაიგებენ, რატომ ვაცდენ გაკვეთილებსო.

ბავშვებმა კატოს გამოგზავნილი ნახატები ნახეს და ყველაფერი კარგად გაიგეს.

**დააკვირდი ამ ნახატებს და გვიამბე, რატომ არ მივიდა კატო სკოლაში:**





**სამი ნახატით გადმოეცი ეს ამბავი:**

1. მზიანი ამინდი იყო.
2. მოიღრუბლა და წვიმა წამოვიდა.
3. წვიმამ გადაიღო, მზემ გამოანათა, ცაზე ცისარტყელა გამოჩნდა.



**დააკვირდი, როგორ იწერება ასო შ.**

შ მაშოს შაშვის ხმა ესმის.